

## პრიმინალისტიკური ინფორმაციული აროვესების აღმოჩენითი და მანქანური დოკუმენტების სამართლებრივი რეგულირების პროცესი

ეთერ კუნძულის მიერ არჩილ ჯანელიძე, გოდერძი ჯანელიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ცნობილია, რომ კრიმინალისტიკურ საქმიანობას საფუძვლად უდევს ინფორმაციული პროცესები, რომლის რეალიზაციაც წარმოშობს გარკვეულ სამართალურთიერთობას. საინფორმაციო ტექნოლოგიებმა ინფორმაციული გარემო (ფონი) შექმნება. ეს მრავალფეროვანია და მრავალ აქადემიურ უცნობ თვისებას ფლობს. მათი სისტემატიზაცია და კვლევის ავტომატიზაცია მიექვთენის კვლევათა სისტემის აქტუალურ საკითხთა კლასს.

**საკვანძო სიტყვები:** კრიმინალისტიკა. ინფორმაციული პროცესი. ინტელექტუალური სისტემა. აღქმის ფონური პრინციპი.

### 1. შესავალი

საინფორმაციო ტექნოლოგიებს უწოდებენ მეთოდებს, რომლებიც აღმოჩენითი და მათემატიკური თეორემების საფუძველზე, პირველადი მონაცემების ბაზაზე დაყრდნობით, უცნობი მახასიათებლებისა და პარამეტრების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. კრიმინალისტიკური ინფორმაციის აქტუალობა განისაზღვრება იმ ინფორმაციით, რომელსაც კვლევის მომენტისათვის დადი დირექტულების ინფორმაციული ხარისხი აქვს. ინფორმაცია ფართო გაეგინოთ არის ცნება, რომელიც დაკავშირებულია ცნობების მიმოცვლასთან ადამიანებს შორის, სიგნალების მიმოცვლასთან ბუნების ცოცხალ და არაცოცხალ ობიექტებს შორის. მათემატიკური მოდელი იწყებს ფორმირებას იმ მოძრაობიდან, როდესაც დაფორმირდება აქტორმათა სისტემა, რომელიც აღწერს არა მხოლოდ საკვლევ ობიექტს, არამად იმ წესების ერთობლიობასაც, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ობიექტზე ოპერაციის ჩატარებას. ინფორმაციული სისტემების გამოყენება ეყრდნობა ინფორმაციის განმასხვავებელ მატრიცებლებს და წყაროებს, ასევე ადამიანის ემოციური მდგომარეობის არსეს. ჩადენილი დანაშაული ორგანულად არის დაკავშირებული უხილავ პირობებში და დროით “წარსულში” მომხდარ ფაქტთან. ამდენად ამ ფაქტის სრული გახსნა და ჰქომარიტების დადგენა გარკვეულ წილად ემყარება ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს. კვლევათა ციკლში ფართო განვითარებას პპოვებენ კრიმინალისტიკური ამოცანების სეთი გადაწყვეტილი, რომლებიც დაფუძნებული არიან ექსპერტისა და გამოყენებით მათემატიკის შემოქმედებით თანამშრომლობაზე. ცხადია, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია აირჩიოს ალგორითმის ის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დასმული ამოცანის ყველაზე ეფექტურ ამოხსნას. ამ შემთხვევაში ეს პიროვნება ხდება უშუალო სუბიექტი კრიმინალისტიკური საქმიანობისა, რამაც სათანადო ასახება უნდა პპოვოს შესაბამის პროცესუალურ დოკუმენტებში. ასეთია ზოგადი პროცესუალური მოთხოვნები გამოთვლითი ტექნოლოგიების გამოყენებით ამოცანის გადაწყვეტის და მონაცემების გაფორმების პროცედურაზე.

### 2. ძირითადი ნაწილი

თეორიულმა კვლევებმა და პრაქტიკულმა ანალიზმა განსაზღვრა კრიმინალისტიკაში ტექნიკურ – პროგრამული სისტემების დანერგვის აუცილებლობა. მათემატიკური მოდელის აგება ემყარება დაკვირვებისა და აღქმის პროცესების კანონზომიერებას. კანონზომიერების გამოვლინების პროცესი ესაა უმნიშვნელოვანები ელემენტი საკლევი ობიექტის გარემოს შემცნებისა. ცხადია, რომ შემცნობი სუბიექტისათვის ჩადენილი დანაშაული არის ყოველთვის წარსული შემთხვევა. ამაშია წორედ შემცნების პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები თავისებურება, რომელსაც აქვს ადგილი დანაშაულის გამოშეკრავების და გამოძიების საქმიანობაში. დანაშაული შემთხვევა უცილობლად ისახება გარე სამყაროზე ან მატერიალურ – ფიქსირებულ კვალის ფორმით, ან ადამიანთა ცნობიერებაში წარმოსახვითი ფორმით. ეს ორივე შეიცავს ინფორმაციას დანაშაულის შესახებ, რომლის გამოშეკრავება, ანალიზი და შეფასება წარმოადგენს შემცნებითი კვლევის მთავარ საკითხს. შემცნება აბიექტს გადააცემს მარტივ წარმოადგენებად. წარმოადგენები, მსჯელობები, ცნებები ეს კომუნიკაციურ ტექნოლოგიათა კავშირთა მქონე ერთგვარი სისტემაა, ისე, რომ ერთი გარკვეული წარმოადგენა მეხსიერებიდან სხვა წარმოდგენებს აღაგზნებენ. წარმოდგენა საგანზე წარმოშობს წარმოადგენებს ამ საგნის თვისებებსა და ნიშნებზე. კვლევის პროცედურების მიმართულებას წარმოადგენს არაფორმალიზებული ინფორმაციის აღმორითმიზაცია და მანქანურ ენზე დაყვანის შესაძლებლობის განსაზღვრა. ადამიანის ქცევის არაშემთხვევითი, ბუნებრივი ხასიათი მივვანიშნებს მის კლისიფიკაციის შესაძლებლობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული ინდივიდის ქცევა სხვადასხვა გარემოში განსხვავებულია, სიტუაციის მიხედვით განსაზღვრულია. ქცევის სტრუქტურის განსაზღვრისათვის მრავალი ფაქტორი და გარემობა უნდა იქნეს

გათვალისწინებული. ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბება – სრულყოფაში გარემო პირობებსაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს. აქ მაუხედავად ამისა მათემატიკური მოდელის გამოყენებით ზოგადად მაინც შეიძლება მისი გამოთვლა. მათემატიკური აღწერა ითხოვს საკვლევი ობიექტის ან მოვლენის კანონზომიერების არა მხოლოდ ფიქსაციას ფორმულებითა და ლიგიგური გამოხატულებით, არამედ ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზების შეკაცრ განსაზღვრასაც. კრიმინალისტიკური ობიექტების კვლევის პროცესი შეიძლება დავყოთ ოთხ ძირითად ეტაპად: ინფორმაციის შეკრება, კლასიფიკაცია, შეფასება და ვარირების ზღვრების დადგენა. თითოეულ ეტაპს აქვს კონკრეტული მიზანი, ხოლო ერთობლიობა გვაძლევს სისტემას.

- ინფორმაცია უნდა შეირჩეს იმდავგარად, რომ მთლიანად აღიწეროს საკვლევი ობიექტის ბუნება (ძირითადი და განმასხვავაბელი ნიშნები), ამავდროულდ ყველა ძირითადი პარამეტრიც უნდა კონტროლირდებოდეს);

- ინფორმაციის შეკრების პირველ ნაბიჯად გვევლინება იმის განსაზღვრა, თუ რომელი სექტორი ექვემდებარება კონტროლს და რა დონით – მკაცრად უნდა კონტროლირდებოდეს ყოველი სექტორი;

- ზოგ შემთხვევაში თვით სიგნალი არ ასახავს მოვლენას, ის მხოლოდ მექანიზმია, რომლის დაზმარებითაც კონტროლირდება სხვა მოვლენები;

- როდესაც კონკრეტული ტიპის სგნალი ამოცნობილია, ის ექვემდებარება ღრმა შესწავლას – ანალიზს, როგორც მძლავრი დამატებიცებელი ფაქტორი აღრეული ეტაპის მოვლენების სიგნალებისა.

ინფორმაციის აღქმის, გამოხატვისა და გადაცემის ფორმები სხვადასხვაა:

- ინფორმაციის აღქმის ფორმებია: ვიზუალური აღქმა, სმენით, შეხება შეგრძნებით, ყნოსვით, გემოთი და სხვ.

- ინფორმაციის გადაცემის ძირითადი ფორმებია: ვერბალური და არაველბარული. როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ადამიანთა გრძნობები და ემოციები, მათ შორის ინფორმაცია მეტყველებით ანუ ვერბალური ფორმით გადაიცემა თუმცა ამ გზით, ხშირად, ინფორმაციის მთავარი აზრი იკარგება ან მახინჯდება.

თუ რომელ საფეხურზე ხდება ინფორმაციის დამახინჯება ეს კვლევის ერთ-ერთი საკითხთაგანია. სიტყვიერი ურთიერთობა გამუდმებით კორექტურდება, ამასთან ვერბალური საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის არა მატო გადაცემა, არამედ ურთიერთგაცვლაც, ანუ უკუკავშირის დამყარებაც ხდება.

დასალოგისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინფორმაციული (ლია), სარკისებური და ესტაფეტური კითხვები. ინფორმაციული ანუ ღია კითხვები განსხვავებული აზრის წარმოშობას უწყობს ხელს. ღია დასალოგის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება სარკისებური კითხვები. ისინი საშუალებას იძლევა დაგუბრუნოთ თანამოსაუბრის მიერ ადრე წარმოთქმულ აზრს, განცდას ან მიზეზს. ტექნიკურად, სარკისებური კითხვა მოსაუბრის მიერ უკვე თქმულის, ოღონდ განსხვავებული ინტონაციით, უმეტესად კითხვითი ფორმით განმეორებაა. ის თანამოსაუბრეს აიძულებს წარმოთქმულს სხვა მხრიდან შეხედოს. სარკისებური კითხვა საშუალებას იძლევა საუბარში შევიტანოთ ახალი ელემენტები და დასალოგს ჭეშმარიტი აზრი მივცეთ.

**ესტაფეტური კითხვები** მეტწილად რეპლიკის ფორმას იღებს და მოსაუბრეს მოცემულ საკითხზე მეტის ან სხვაგვარად თქმას აიძულებს. კრიმინალისტიკაში (დაგითხვის ოქმები) არცთუ იშვიათად, ჩაფიქრებული აზრის სხვისთვის გადაცემა ინვერსიული ანუ საპირისპირო ქცევით საქმაოდ ეფექტურად ხდება. იგი საშუალებას იძლევა უფრო ღრმად და დარწმუნებით მივაძყროთ სხვისი ფურადღება. წარმოთქმულის ან მოქმედების ძირითადი აზრის ოდნავი ცვლილებაც კი მის სიმწვავესა და უწყვეტობას უზრუნველყოფს. კრიმინალისტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა გამომძიებელი იყენებს ინვერსიას, მინიშნებას. ამას იგი აკეთებს არა პირდაპირ, ღიად, არამედ ფარულად, თითქოს მეორეხარისხოვნად, ფურადღების გაუმახვილებლად. თუმცა შედეგი უფრო თუმცა შედეგი უფრო ეფექტურია, მიზანმიმართული და შთამბეჭდავია. შესაძლებელია მოსაუბრის მსჯელობას მიყვეთ აზროვნებით და ერთდროულად ჩამოგვიყალიბდეს ჩვენი კერძო შეხედულება. აზროვნებით მივყვეთ იმ ვერსიის განვითარებასაც, რომელსაც არ წარმოვთქვათ, მაგრამ ჩვენ თვითონ აღვიქვათ. დასალოგის დროს ხშირად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ “უმნიშვნელო” ნიუასებს როგორიცაა: ინტონაცია, გამოხედვა, უსტი შეკრთომა და ა.შ. ადამიანის ხელებიც მისი ”მეორე ენა”, თანაც იერსახესთან შედარებით ისინი ცნობიერ ცონტროლს უფრო ნაკლებად ექვემდებარება.

„ვოკალური მიმიკა“ ანუ ხმის ემოციური შეფერილობა ადამიანის ემოციური მდგომარეობის შედარებით ფაქტიზ და მნიშვნელოვანი სიმპტომებია, ყოველი ინდივიდის ემოციური აღგზნებადობა გამომსახველი მომენტების

მთელი სპექტრით – ინტონაციით, პაუზით, ხმის ტონალობის ცვლილებით და ა.შ. ყალიბდება, ამის გამო ადამიანის ხმა სხვადასხვა ელფერსა და შინაარსს იძენს. ერთი და იგივე ხმა ადამიანებმა შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობით აღიქვან. ხმის ინფორმაციის მანქანური ანალიზი ემყარება ეტალონურ და საკვლევ ჩაწერილ ინფორმაციათა მანქანურ დიაგნოსტიკას. ცდებით დადგენილია რომ პარმონიკები და ინჰირმინიკები არიან მთავარი მიზეზი იმისა, რომ ყველა ადამიანს, ინსტრუმენტს თუ საგანს განსხვავებული უღერადობა აქვს, თუნდაც ისინი ერთსა და იმავე ნოტის გამოსცემდნენ, რამაც პრაქტიკული გამოყენება პპოვა კრიმინალისტიკურ ტექნიკურ ექსპერტიზაში. აუდიო, ვიდეო ჩანაწერების ანალიზი წარმოებს დამუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. მეთოდიკა ითვალისწინებს ხმის ინტონაციის ანალიზს, ხმის ტემპრის ცვლილების ანალიზს, შეკითხვის დროს შეკრთობის, მიმიკის შეცვლისა და სხვა გამოხატული ქმედების ანალიზს. გაანალიზებულია მკვლევართა მოსაზრებები და შემოთავაზებულია დასკვნა, რომ ინფორმაციის აღქმის ფონური პრინციპი და “ვოკალური მიმიკა” ანუ ხმის ემოციური შეფერილობა ადამიანის ემოციური მდგომარეობის შედარებით ფაქტი და ქცევის სტრუქტურის ერთ ერთი ძირითადი განმსაზღვრული და პერსპექტიული ფაქტორია კრიმინალისტიკურ ტექნოლოგიებში.

#### **ლიტერატურა:**

1. . . . . 1989
2. ჯანელიძე გ., კუნელაშვილი ე., ესიავა ნ., ჯანელიძე ა. საინფორმაციო ინფრასტრუქტურა და მანქანური დამუშავების თავისებურებების განსაზღვრა კრიმინალისტიკურ ექსპერტიზაში. საერთ.სამეცნ. კონფ. მასალები. სტუ. თბილისი. 2010
3. . . . . 2006.

#### **VERBAL COMMUNICATION AND CRIMINALISTIC EXAMINATION**

Kunelashvili Eteri, Janelidze Archil, Janelidze Goderdzi  
Georgian Technical University

#### **Summary**

It is known, that in the basis of criminalistics activities are layed information processes, realization of which leads to the certain legal mutual relations. Information technologies have created an information environment (background): the area, which is many-sided and includes a set of still unknown properties. Ordering of these unknown properties and automation of research belong to a class of actual problems of research system.

#### **КОМПЬЮТЕРНЫХ**

#### **Резюме**

( ):